სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080152862893518

№ 2230

25 / სექტემბერი /
2018 წ.

სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გაუმართაობასთან დაკავშირებით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ

2018 წლის 25 სექტემბერს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი, რის გამოც ამ განკარგულების დანართით განსაზღვრულ ელექტრონულ ტენდერებში/ კონკურსში პრეტენდენტებმა ვერ მოახერხეს სატენდერო/საკონკურსო წინადადებების წარდგენა. აღნიშნულის გათვალისწინებით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-13 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე:

1. ამ განკარგულების დანართით განსაზღვრულ ელექტრონულ ტენდერებში/კონკურსში წინადადებების მიღების დასრულების ვადად განისაზღვროს ამავე დანართში მითითებული შესაბამისი დრო.

2. წინამდებარე განკარგულება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე www.procurement.gov.ge. ამასთან, მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ ეცნობოთ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებულ მომხმარებლებს სისტემური შეტყობინების მეშვეობით.

3. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

კახი დემეტრაშვილი